მე-11 კლასში 2021-2022 სასწავლო წლის ნოემბერ-დეკემბერში სადამრიგებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ

რეფლექსია

XI კლასში სიით ირიცხება 15 მოსწავლე. 8 ვაჟი და 7 გოგონა. 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში შევიმუშავეთ საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზაობის საკითხები, მოსწავლეებთან ერთად შევადგინე კლასში ქცევის, როგორც ონლაინ სწავლებისთვის, ისე საკლასო ოთახში სწავლებისას წესები და რეკომენდაციები, რომელიც გამოვაკარით თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით დავგეგმე სადამრიგებლო საათები, პროექტი, ღონისძიებები.

2021-2022 სასწავლო წლის დაწყების წინ გავეცანი მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, მუხლი 20, დამრიგებელი, გავითავისე დამრიგებლის ფუნქციები და შევიმუშავე სადამრიგებლო გეგმა.

2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა. მართალია სასწავლო პროცესი თავდაპირველად ონლაინ პლატფორმით დაიწყო, მაგრამ მოსწავლეების უმრავლესობას ჰქონდა საშუალება სასწავლო პროცესში ჩართულიყო ონლაინ, მხოლოდ ერთი ოჯახის ორი მოსწავლე პერიოდულად ესწრებოდა გაკვეთილებს, ინტერნეტის ხარვეზის გამო, თუმცა ეს პრობლემა მასწავლებლებმა სატელეფონო საუბრით აღმოფხვრეს. 4 ოქტომბრიდან კი მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ დასწრებით საგაკვეთილო პროცესში. მშობლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, ხშირად გვქონდა ონლაინ კონტაქტი სოციალური ქსელებით, თუ სატელეფონო, სპეციალურად შექმნილ საკონტაქტო ჯგუფში ან ინდივიდუალურად. ვითვალისწინებდით მათ რჩევებსა და თხოვნებს.

სასწავლო გარემოს უკეთესი პირობების შესაქმნელად და სწავლა/ სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ჩავატარე ,, მშობელთა კმაყოფილების კვლევა“. მშობლებს გადაეგზავნათ კითხვარი. კითხვარის შევსების საფუძველზე გამოვლინდა სწავლა/ სწავლების ხარისხის დადებითი და შედარებით გასაუმჯობესებელი საკითხები. მშობლების კმაყოფილნი არიან სასწავლო გარემოში მოსწავლეების და საგნის მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობით .

მრავალმხრივ შეთავაზებული აქტივობებით, ელექტრონული რესურსებით, სახალისო, საინტერესო და სააღმზრდელო შეგონებებით, ასევე კმაყოფილება გამოთქვეს იმ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით, რომლებიც არის მზაობა ეროვნული გამოცდებისთვის. მასწავლებლებმა თავად გამოთქვეს სურვილი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩაატარონ აღნიშნული დამატებითი საათი (ქართული, ისტორია, მათემატიკა, უცხო ენა).

ყოველდღიურად ვაკვირდებოდი მოსწავლეთა ქცევებს საგაკვეთილო და არა საგაკვეთილო პროცესში, რათა სასწავლო წლის ბოლოს მქონოდა მზაობა მოსწავლეთა დახასიათებისთვის. განვახორციელე პირველ სემსტრში დაგეგმილი სადამრიგებლო საათები.

2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ვაწარმოე კვლევა თემით: კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, ამ კვლევის მიზანი იყო შემერჩია სადამრიგებლო საათის აქტივობები და დამეგეგმა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

კლასის დამრიგებელი ცისნამი ბერიძე